



ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



სატენდერო დოკუმენტაცია

2016-2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ქვედა საქარას საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის  
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა  
(ელექტრონული ტენდერი)

თბილისი  
2016 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3. ტექნიკური დოკუმენტაცია
4. ანგარიშსწორების პირობები
5. დამატებითი ინფორმაცია
6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი
7. მიწოდების პირობები და ვადები
8. ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია
9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
10. დანართი N1, რეკვიზიტები
11. დანართი N2

შენიშვნა: შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა (საპროექტო მოცემულობა და დეფექტური აქტი) იხილეთ ატვირთულ ელექტრონულ მასალებში.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, გარდა ექსელის (excel)-ის ფაილისა, ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.

1.7 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

1.8. ვინაიდან პრეტენდენტისათვის სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში-ლარში, ხელშეკრულება გაფორმდება ლარში. შესაბამისად ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და ავანსის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში-ლარში მხოლოდ საბანკო (კომერციული ბანკი) დაწესებულებიდან. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების წარმოდგენის შემთხვევაში მათთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე საქართველოში აკრედიტირებული საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული „კონტრ გარანტიები“ (ლარში). საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

1.9. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან

დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.10. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.11. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული;

## **2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

### **2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მეწარმე სუბიექტებისათვის:**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

### **2.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფიზიკური პირებისათვის:**

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დადასტურებული ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან ნასამართლეობის (არქონის) შესახებ.

2.3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.4. ამ პუნქტის 2.1. და 2.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება სისტემის მეშვეობით. არარეზიდენტი პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

## **3. ტექნიკური დოკუმენტაცია**

3.1. სატენდერო წინადადების ფასი;

3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინსპექტირებს ჯგუფს სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი. იმ შემთხვევაში მიმწოდებელი არ წარმოადგენს გეგმა-გრაფიკს განსაზღვრულ ვადაში დაუსაბუთებლად, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც

მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

3.4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.5. პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ პირობით თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.

3.6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2013 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 200 000 ლარის ღირებულების ნებისმიერი სახის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს **საბოლოო ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი**.

3.7. პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის **20%-ის ან მეტი** სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავებისას, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი სერტიფიცირებული აუდიტორის მიერ.

3.8. შესასრულებელი სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე ვრცელდება დანართი N2-ის მიხედვით განსაზღვრული პირობები, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები იქნება დანართ N2-ში მითითებული პირობების გაუმჯობესება პრეტენდენტის მიერ.

#### **4. ანგარიშსწორების პირობები:**

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. 2016 წელს გათვალისწინებულია სავარაუდოდ 67 136.92 ლარი, ხოლო 2017 წელს სავარაუდოდ 3 533.52 ლარი.

4.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან შემდეგი პროპორციით: 50%-ი მიმართული იქნება ავანსის სახით გადახდილი თანხის გასაქვითად, ხოლო დარჩენილი 50%-ი დაექვმედება ანაზღაურებას. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.3. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე

შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

4.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ფორმა N2, ფორმა N3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

## 5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები.

5.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 70 670.44 ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა და ჩამონათვალი იხილეთ მიმაგრებულ მასალაში (საპროექტო მოცემულობა და დეფექტური აქტი).

პრეტენდენტის მიერ თითოეულ ობიექტზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სკოლისათვის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ სავარაუდო ღირებულებას.

დეფექტურ აქტში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია.

გაითვალისწინეთ, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაუშვებელია დეფექტური აქტით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება გადანაწილებული იქნება ტენდენციურად (მეტობით), რითაც აშკარად იკვეთება პრეტენდენტის სურვილი წინსწრებით მიიღოს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეუსაბამო ოდენობა, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო.

5.3. პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლოს სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად. ერთნაირი დასახელების სამუშაოზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთნაირი ფასი.

## 6. დამატებითი ინფორმაცია:

- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო პირები:

➤ სატენდერო პროცედურების შესახებ - ნინო გლოველი 577 15 20 75; დავით მესხიშვილი 577 17

11 88

**7. მიწოდების პირობები და ვადები:**

- ა) ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში;
- ბ) ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის სამუშაოების შესრულება უნდა განახორციელოს შესაბამის საჯარო სკოლაში;

**8. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:**

- ა) რეკვიზიტები, დანართი N1 შესაბამისად.
- ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დეფექტური აქტის მიხედვით - პრეტენდენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით (ტენდერის სტატუსი - „წინადადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე) ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას.
- გ) ინფორმაცია მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე არანაკლებ 200 000 ლარის ღირებულების ნებისმიერი სახის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს **საბოლოო ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი**.

**ხელშეკრულების პროექტი**  
**(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების**  
**შინაარსის გათვალისწინებით)**

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო \_\_\_\_\_ 2016 წელი  
ერთის მხრივ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“,  
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული, ს/კ 202294980;  
სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222 (შემდგომში “შემსყიდველი”)  
და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში “მიმწოდებელი”) შორის და მიღწეულ იქნა  
ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: 2016 წლის \_\_\_\_\_ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების  
ფარგლებში შემსყიდველმა გამოაცხადა №SPA \_\_\_\_\_ ელექტრონული ტენდერი  
\_\_\_\_\_ სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის (CPV) კოდები: \_\_\_\_\_  
და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე:  
\_\_\_\_\_ ლარი (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

**1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

- 1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
- 1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
  - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
  - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები და ხარჯთაღრიცხვა;
  - გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
  - დ) ნახაზები და სპეციფიკაციები;
- 1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
- 1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
- 1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა იწყება:

**2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.



- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### **3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

- 3.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 3.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 3.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### **4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 4.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები არიან ინსპექტირების ჯგუფის წევრები:
- 
- 4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
  - 4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
  - 4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
  - 4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
  - 4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

## 5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

## 6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

6.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

7.3. საბოლოო სამუშაოების შესრულებამდე „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

7.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა №2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს – ტექნიკურ ზედამხედველს;

7.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 8. გარანტია

8.1. ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

## 9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

9.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული

სამუშაოების ღირებულებიდან შემდეგი პროპორციით: 50%-ი მიმართული იქნება ავანსის სახით გადახდილი თანხის გასაქვითად, ხოლო დარჩენილი 50%-ი დაექვემდებარება ანაზღაურებას. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.4. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2 და ფორმა №3) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, წინამდებარე ხელშეკრულების 9.6. პუნქტის გათვალისწინებით.

9.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ფორმა N2, ფორმა N3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

9.6. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.7. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

## 10. ფასები

10.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

10.2. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

## 11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება;

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 15%-ის ოდენობით;

12.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ნაწილობრივ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს შესასრულებელი (დარჩენილი) სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

12.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

12.5. თუ კი მიმწოდებელი 12.4. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ჯარიმდება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.6. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.7. ამ მუხლის 12.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 9.5. მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გეგმა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

### **13. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავგარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესით მიმართოს სასამართლოს.

### **14. გამოყენებული სამართალი**

14.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

## დანართი N1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

დანართი N2

**ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე,**

1. სახურავი - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - 10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გადლიერების სამუშაოები - 15 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 5 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშაოები - 5 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 3 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტრობა - 5 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 5 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 5 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 15 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები - 25 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 20 წელი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. დროებით შენობა-ნაგებობები - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. სხვა დანარჩენი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

საგარანტიო ვადის განმავლობაში, (მიმწოდებლის დასახელება) ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

(დანართი N2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს)